



ეთამაშება ოქროს ვარსკვლავი ჩვენს დამაზ ქალებს სხივების ფრქვევით... რა სურათია, რა გულსაკვადი, ასეთ მომხიბლავ სურათის ქვევით!...

ნან. ე. ბერძენიშვილმა

ნ ი ა ნ ბ ი

№ 5 თბილისი მარტი 1954 წ. გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXXI. ფასი 2 მან.

უცხოეთში



აწერიკის შვერთებულ შტატებს ფრანკო სურს გა-
მოიყენოს ინგლისელთა ციხე-სიმაგრის ჰიბრალტარის
ხელში ჩასაგდებად.

ნახ. მ. თათროვსა



ხურათზე: ამერიკული კიბე, ამერიკელი ძია და
ინგლისელთა ციხე-სიმაგრე ჰიბრალტარი.

ვლ. მახსი
მის. ჩიკვინსკი



სოსო და არეზები

— მე მინდა თქვენი სადღეგრძელო დავდიო ასე:
თქვენს წარმატებებს გაუმარჯოს,
სიცოცხდეს თქვენსას! —
წარმოთქვა ცრემლმა ალღევებით და ღვინით სავსე
ბროლის სასმისი გამოცადა, ბოლომდე შესვა.
— მაღლობელი ვარ! —
მგრძნობიარედ აღმოხდა სიცილს. —
ვარგა ხანია მე გაკვირვა მესმოდა მხოლოდ,
სუყვედას, —
მწითურ მასხარასაც მხიარულ ცირკის,
ჩემი ვით ცეცხლის შეეშინდა ბოლოს და ბოლოს,
და არენაზე გამოსული ვერ ვიცან მე ის, —
უკვე გამხდარა შავგვრემანი, უცვლია ფერი,
ეს ჩემი ძველი მეგობარი, — ასეუდ წღების,
გაზეთებიდან ამოწერიდ ციტატებს მღერის.
სამხატვრო საბჭოს თურმე ასე დაუდგენია:
ვყოფიდიყავი მე გამხდარი და მოსაწყენი,
იქ თურმე ბევრი უშირომიათ, ოფდი სდენიათ,
მაგრამ დღეს, ვფიქრობ, მოაგვარეს საკითხი ჩემი.
თუმცა ძლიერი ჭერჭერობით არ ვარ ძალიან,
კინოებშიაც ისევ მოკდემეტრაჟით მნახავთ,
მაგრამ, აქა-იქ ხომ ვყლერ მაინც, ეს მართალია,
ასე რომ თავის გასაწყდება არ მინდა ახლა!
თქვენ კი, ცრემლებო, არსად ჩანხართ, აი, საწყენი!..
სასაცილოა, მაგრამ მაინც სიმართლე არი, —
რომ თითქმის ყვედგან ეშინიათ რატომღაც თქვენო,
რომ დღემდე ვერსად ვერ მოძებნეთ თავშესაფარი!..
ამაოდ გეძებთ პიესებში, — ვერსად ვერ გხვდებით,
კინოებს ნახავ, — სიჩუმეა და მყუდროება,
გულით გინდოდეს, — ვერსად ველარ აქვითინდები,
სცენაზე ვერსად ვერ შეხვდები ნამდვიდ ცხოვრებას.
სად არი, აბა, ტრაგედია? სად არი დრამა,
ისეთი მწვედი და მგზნებარე, ვით ცეცხლის დავა?!.
ისეთი, რომლის დანახვაზე გუქვაც ტიროდეს
და თვალებიდან თქვენ, ღვართქაფად ჩამოდრიოდეთ!..
ჩამოდრიოდეთ, არ ვხედავდეთ თქვენში სიყაბებს,
რომ ვიგრძნოთ გულით ჭეშმარიტი წვა და დულიდი,
რომ პირვედ აქტში აღარ მივხვდეთ მეოთხის ამბებს,
და განვიცადოთ ვით ოსტროვსკის „ჭეჭა-ჭუხიდი“!..
მე სიცილი ვარ, არ მაწუხებს მე ჩემი ბედი,
თქვენი ხვედრი კი, მეგობარო, სამწუხაროა,
დროა იფიქრონ, აღარ შეგვწვეს მოთმენა მეტი,
ჩვენმა მწერლებმა თქვენზეც,
თქვენზეც იფიქრონ დროა!
მე მთელი გულით, მთელი გრძნობით მივესაღმები
ოსტატებს დრამის, ტრაგედიის, პროზის და დექსის,
რომელთაც ძაღუძთ თავიანთი შემოქმედებით
გამოგინვიონ თქვენ, ცრემლებო... და ჩემიც ესმით!..
* * *

მტრედისფრად უკვე მოანათა ქადაქს აისმა,
წკარუნი ბროლის სასმისების ისევ გაისმა.
— გამაღობო! —
თქვა ცრემლმა და სასმისი დაცადა სუღმოდად..
აქვე კუთხეში ზის მოწყენა თურმე თავიდან,
მეინახეებს ბუს თვალებით შეხედა მტრულად..
წამოდგა ზღაზვნით,
დაამოქნარა
და მყის წავიდა.
თარგმანი აშირან აბაშილაშასი

საქმე ძლიერ გამწვავდა, ისე გამწვავდა, რომ მოსალოდნელი იყო საშინელი გართულებანი. დანტერესებულმა პირებმა, — ყუბანეიშვილმა და ფიჩხაძემ, — ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ ქუთაისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს მიმართეს.

ასე დაიწყო ოთხი წლის წინათ, 1950 წელს ეს თავსატეხი და ძნელად გადასაწყვეტი ამბავი, რომლის ბადალს იშვიათად თუ შეხვდებით მართლმსაჯულების ისტორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქმე დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდა, ორი წლის განმავლობაში მაინც უმოქმედოდ ეგდო უჯრაში, როგორც ფარატინა ქალაღი. მოსამართლეებს მხოლოდ 1952 წელს მოაგონდათ იგი და თავში ხელი იცეს. შეეშინდათ, ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმის გაჭიანურებისათვის პასუხი არ მოგვეთხოვნო და იმავე წლის თებერვალში ორჯერ გაარჩიეს იგი. მაგრამ... ამხელა საქმის ორჯერ გარჩევა რას იკმარებდა? მესამედ მარტში დაინიშნა პროცესი. რადგან სასამართლოში საქმის მსვლელობის დროს მთელი სიგრძე-სიგანით გამომჯღავდა წარმოებული საქმის სირთულე, უბნის სასამართლომ თავის თავზე ვერ აიღო მისი გადაწყვეტის მთელი პასუხისმგებლობა და დაუმთავრებელი საქმე დასამთავრებლად ქუთაისის საოლქო სასამართლოში გადაგზავნა.

საოლქო სასამართლომ 1952 წლის ათ აპრილს ერთი მხარის სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე, ხოლო ათ ივნისს მეორე მხარეს მიაკუთვნა უპირატესობა. მიაკუთვნა და უცებ შეცბუნდა. პასუხისმგებლობისა მასაც შეეშინდა. თავისი განაჩენი თვითვე დაარღვია და საქმე ხელახლა გასარჩევად ქუთაისის მესამე უბნის სასამართლოში გადაგზავნა.

მესამე უბანი სხვებზე გაბედული აღმოჩნდა. საქმე, სხვადასხვა ინსტანციის მითითებით, სხვადასხვა დროს, სამჯერ გაარჩია, მეოთხედ 1952 წლის 15 ნოემბერს და საბოლოო გადაწყვეტილებაც გამოიტანა.

წაგებულმა მხარემ, როგორც წესია, 1953 წელს საქმე თბილისში, უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა. იმავე წლის 25 აგვისტოს უმაღლესმა სასამართლომ ჩასთვალა, რომ ქუთაისის მესამე უბნის სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის მიმართ ნაჩქარევი და საფუძველს მოკლებული იყო. საქმე დაარღვია და კვლავ ქუთაისის პირველი უბნის სასამართლოს დაუბრუნა.



— მარტის დიდი იმედი მქონდა, მეგონა რომ გაზაფხული მომისწრებდა... მაგრამ მომხსნეს... გაზაფხულს მკაცრმა დადგენილებამ დაასწრო...

პირველ უბანში კაცი ვერ გამოიჩინა, რომ ეს უძნელესი საჩივარი გაერჩია და საქმემ მეხუთე უბანში ამოჰყო თავი. მეხუთე უბანში იფიქრეს: „ჩვენ ისეთი რა თავი გვაქვს, მათ ვაჯობოთო“ და 1953 წლის 18 ოქტომბერს დახლართული და გადაუწყვეტიელი საქმე ისევ უმაღლეს სასამართლოს დაუბრუნდა.

ამ საქმეში რესპუბლიკის მაშინდელი პროკურორი ამხ. ესაკიაც ჩაერია, განსაკუთრებული პროტესტიც კი დაწერა და ქუთაისის პროკურორს სპეციალური წერილი გაუგზავნა: — საქმის დიდი მნიშვნელობის გამო, თვალი მაგრად გექიროს, უსამართლობა არაფერი მოხდესო...

1950 წლიდან დღემდე საქმე ოცჯერ გაიჩნა და მაინც ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. მასზე ოცი თაბახი ქალაღი დაიწერა, მოწვეული

იქნა ოცი სპეციალური ექსპერტი, გაიგზავნა ოცჯერ ოცი სხვადასხვა პროტესტი, მიმართვა, უწყება. მაძიებლებს და მოწმეებს სასამართლოში ყოფნით ოცზე მეტი სამუშაო დღე გაუცდათ. ახლა ისიც გავითვალისწინოთ, თუ სასამართლოს რამდენი სხდომა შედგა...

საინტერესოა, რა საკითხია ასე გადაუწყვეტიელი?..

ეს დახლართული საქმე ეხება ქუთაისში მცხოვრებ, ორი კარის მეზობლის — ყუბანეიშვილისა და ფიჩხაძის შორის ატეხილ დავას იმის შესახებ, თუ... რომელ მათგანს აქვს უფლება საღარბაზო კართით ისარგებლოს.

კეშმარიტად, ასეთ ურთულესსა და ძნელად გადასაწყვეტ ამბავს იშვიათად თუ შეხვდებით მართლმსაჯულების ისტორიის მანძილზე.



საქვეპრობის თელავის განყოფილებაში ახმახმა კაცმა შელაჯა. გაკონილი ტყაპტყი ეცვა, თავის სიმაღლე კომპალი მტარა.

— ფარები გქონდათ, მწყემს არ გინდებო? — მიმარია საქვეპრობებებს.

— რატომაც არა, სადღური ხარ, ძმობილო? — ჰქობიხს.
 — მწყემს რა მწყემს იქნების, თუ სახლ-კარ აქვს მინდორი არ უფინდებინ!

— საჩვენო კაცი ყოფილხარ, რა გვარი ხარ?
 — ლაზარეს მეტყვიანი, მარხვაიძის გვარი მაქვს!
 — მარხვაიძე? ეტ რა გვარია!
 — ასე გვეყვით მამაპაპათვანე, ხორც არ ჰკანს ჩემ გასავსი, სასნილის არ ვეტანებით და იმიტომ მარხვაიძეებს გეწოდებენ.

— საჩვენო კაცი ყოფილხარ... ცხვრის ხორცსაც არ ეტანები?

— მე კი არა, მგელ მძღს, რადღაც ცხვრისა ჰკანს!
 — ჩაბარე ძმობილო, ათასი სული ცხვარი, მღუფარე, გაეცხვრე, მატყლი და ტყავი ჩვენ, ჩლიქი შენ, ხორცი ჩვენ, გასამრავლო შენ. გვემსახურე და გვემსახურებით.
 ეს იყო 1945 წელს, ლაზარე მარხვაიძემ ათასი სული ცხვარი ჩაბარა, კომპალი მღუფარი და ფარა გამოსასამირებლად გაიჩრვა.

საქვეპრობები კი ისხდნენ და მღეროდნენ:
 „გაგა ზამთარია და გაზაფხულზე
 მინდვრად სვავილი რომ აუვადებდა...“

ამ სიმღერაში უკავილი აუვავდა და ლაზარე მარხვაიძე თელავის ესტუმრია.

— უკვლი რამდენი ჩამოიტანე, ლაზარე?
 — ყოლი ბეგრ იყო, მრავალ იყო, დამამიძმა და ვერ ვტარებ.

— მატყლი?
 — მატყლ ჯერ ზურგზე აკვს ცხორსა, გასაკრეჭია!
 — ცხვარი?
 — ცხორი მთას იქით ღვას, ზანტია, თელავი ჩამოსვლა ეხარება.

— ჩამდენი მომხატა დარა?
 — ბეგრ, არ ვიცი კი რამტომია!
 — ვერ დათვალ?
 — მთავრობის ცხვარს რა დათვალ უნდა, ჩემი ხომ არ არის, ხო სულ მაქვს!


— წიდი, ლაზარე, წიდი, შერბის ერთიორად ჩამოიტყე. ბარაკი შენს ფარს.

ეს იყო 1946 წელს. ლაზარემ მხარე კომპალი ისევ ეყოლო და გზას გაუღდა. საქვეპრობები კი მღეროდნენ:
 „გაგა ზამთარია და გაზაფხულზე
 მინდვრად სვავილი რომ აუვადებდა...“

ზამთარი კვლავ გავიდა, უკვილოდ კვლავ აუვავდა და ლაზარე კვლავ თელავის ესტუმრია...

მეცხვრებს რომ არ მოწყენიოს, კარგი იქნება თუ შევატყობინებთ, რომ მარხვაიძისა და საქვეპრობებებს შორის შესივლი დიდიგვა გამართა, როგორც 1946 წლის ზაფხულს.

ლაზარე კვლავ გაუღდა გზას, საქვეპრობები კვლავ „გაგა ზამთარია“ მღეროდნენ და ასე მანამდე გადიოდა და მობიდა ზამთარი, ვიდრე 1953 წელს ლაზარეს არ ჰკობიხს:



პუშკინის ქუჩისა და კოლმურტანის მოედნის კუთხეში მოდებდა ახალი ჩოქოლია. აქ იტარა თავს უფროსი კერძოდ მომწიფი ზელონები, მუდგელ-გადასურვლები და სკარის მოყვარული უხაჭმურები. ამავე ღრის უფროსი მამართლებლის ავტომანქანები და ტრამვაების გავბის ადგილიც ეს არს... როგორც ხელდა, მილიციის წარმომადგენელი აქვე ღვას და ხანაზობით ერთობა... ხასიათავია: როგორ გაიკაფოს გზა მგელზედ ჩიგმა მოქალაქემ, რომელსაც საქმეზე მეტყვარება? ჰქო მთ ვერც ქვეთვალ და ვერც მანქანით უფარიალ და უხსურადალ ვერაინე გაუვლის?

რაქონილი ავრეობი?!

— კი, მაგრამ ერთხელ მაინც არ უნდა გვიჩვენო რ ჩვენი ცხვარი?!

— რატომაც არ გინდებთ, აქედან ექვსი ღრის საგალზეა, წამოდით, ნახეთ.

— თქ რა წავიყვანს, აქ ჩამოიტყე.

— იტვლია? თელავ პატარა ქალაქია, ჩვენი ცხორი არ დაიტყვებს.

— ქალაქგარეთ გამოვალთ, იქ მოვიყვანე.

— ყაბულ ვარ... თქვა მარხვაიძემ, წყვიდა, რამდენიმე ღრის მითარ-მითარია, ნამარხულვე 1200 სული ცხვრიდან დარჩენილი 213 სული ცხვარი იქვე შორიხალთ ვიღაც ხეცოტებს ჩაერთვა, კომპალი მხარე გაიღო და ისე მოეკრებოდა, რომ ფეხებს სულ ზურგში ეცემა.

ერთი მშვენიერი ღვდა, ერთი მშვენიერი სოფლის ბაღში დიდი ზემოყრილი ღვდა თავგანთავარი. მან დიდრონ ხეებს შემოღობა და გოგებამდის მელისი ციტრტი წამოიწყო:
 „ტული მოვიტან, ტულეულასა,
 ხელგონსა, წაღღუნასა“ და სხვა...
 მიიღო, სანამ ამ დღემამდის დამათვრებლეს, მკითხველს გაეცნოთ თავგანთავარის ვინაობა: იგი ვანის რაიონის სოფელ შუამთის სოფლისაგან თავგულამოხარე დ. ფურქიძე გახლათ.

აფორიანდნენ თელავლი საქვეპრობები, რაიონის პროკურორთან აფირინეს ფირანია: „გვიჩვენე, მარხვაიძეს ხორცის ჰამაც სკოდინა და მეგლეტ ჩქარი სირბილიცო“. ეს ამბავი უკავილესი შეატყობინეს, ამბერასაც — გაბაფრეთ მარხვაიძე და აქ მოგვეგვართო.

რად დააყენა ასეთი დღეკამაციის გუნდებზე ფერმიძე? როგორ თუ არა? კაცი ახელი სოფელს შესვეტრობის, ძილი არა ბეჭს და მოქვიანება, მართალია, დღი არაფერი აუშენებია, მაგრამ აუშენებულს რომ მდინარე ყუბური წალკაციტე ემტყებოდა, ხომ უნდა იზრუნის კაცმა? ჰოდა, ასეთ თავაყვეტებში მდინარეს ხომ ჯებირია უნდა, ჯებირის — ხეტყე, ხეტყეს კი — შინა? მამ რალა შორს წასულიყო ფერმიძე? იფდა და კულტურის სახლის პარკში რომ ზრუნავით დარგულ-გარბილი დიდრონი ხეები იყო, იმთა შეულო თვალს, შევალთ და ზრცო ღვდავად:

პროკურორებმა მილიციის ვადასცეს ფირმანები, მილიციამ ისევ პროკურორტრის გამოღვანება, ახლა პროკურორებში გაეკვალეს მიწერ-მოწერა ერთობლივით — ვინდა თუ არა შენ უნდა დანაზარა მარხვაიძეს და ასე, შეგშული ცხვრის სიწერავით „წარმოებულ“ საქმე საქმედ დარჩა, გაქვეულა მარხვაიძე კი „ჩაქვეულა“ მარხვაიძე.

ასე ჩაიარა თელავში მარხვაიძის მრავალწლოვანმა დიდმარხვაიძე.

ხესაც მოვიკო, ხის ძირსაცაო“, დაამთავრა მან და „ტულ-ტულეულასი“ ხალხი შეუსია ხეებს. ისე აფილია თქვენ გაპოროთ ავი და მარცხი, როგორც აფილია დანაზარა და მინს დანაზარა ცხვრემიძე აკაციის მოიგო. გასხიპეს, გახერხეს, უფუნარად მთავარეს და წულში წაღმა-ტულმა წყამა-სკუტეს ისინი. მთავარეს ხრეშ-ტახობი, ფოხნი და ძაღვები და დამშვიდებულ წყვიდნენ... გვინი წყაროში... სამალაობროდ, იმის გამო, რომ სოფელი შუამთ ისწეს მდინარის მუჭარისაგან.



ზამთარე ღვინის გამოყვდილი თუმცა აქებდნენ, მაგრამ მას მაინც ძლეს ასაბებდნენ.

იქვე მახლობლად ხითობიდა ოქანის წყალი:
 — ახ, ღვინო, როგორ გაუტყუე ხალხს იმედოში, სად გაქრა შენი სახელი და ქებული ძალა, შენთვის არ გრთმსაც ძლეს იმეტებენ?

ღვინომ მიუგო: — შენ რომ ჩემთან შემოიკერი, ჩემი სახელი და დღემა მამში გრებოდა, ო, წყალი, შენ რომ არ მამრეცვედი — ძლიი და ფერი, მე დასაწუნი რა მებრებოდა?!

გურამ ქუნიანიძე



— ამბობენ რომ საქთევზს თევზი არა აქვსო,—ვას! მოდით როცა შესვენებაა და ჩემი თავი თქვენ გენაცვალთ!

„პაგარა გუზის ღუქანი“

წულუკიძის რაიონი, სოფელი გუზი, „ლამარას ღუქანი“



— გონებაგახსნილი გოგოა ლამარა, იცის რომ ხურდა ფულის დათვლა მშრომელ კაცს ძვირფას დროს დააკარგვინებს და ამიტომ ფახები თვითონვე შეასწორა... ცხრა მანეთისა და ცხრა შაურის ნაცვლად ათ მანეთს ვიხდით, თოთხმეტ მანეთსა და თოთხმეტ შაურს მოკლედ თხუთმეტ მანეთად ანგარიშობს...

რა სჯობია მოგზაურობას!... სამი დღით თავისუფალი დრო ჩაივლედ ხელში და გადავწყვიტე ვწვეოდი კახეთის შესანიშნავ სოფელს—ზემო ალვანს, ვწვეოდი დიდი ხნის უნახავ ნათესავ-მეგობრებს.

დილაადრიანად, „ავტორანსის“ თელავის კანტორასთან ავიღე ბილეთი და ავტობუსისაკენ გავეშურე. მანქანასთან ავტომძღოლი და 14-15-ოდე წლის გათხუპნული ბიჭი დაფუსფუსებდნენ, მახლობლად მგზავრები იდგნენ. მეც შევეურთი მგზავრებს და მოთმინებით დავიწყე ლოდინი.

— ბოჩო!—ჩახლეჩილი ხმით გადმოსძახა ავტომძღოლმა თავის თანაშემწეს.—აუშვი ხალხი!

ცხრამეტადგილიანი ავტობუსი, კყლეტი და ვაივაგლახით, საჩქაროდ დაიკავა 26 კაცმა.

— ცივა აი, თბილად კი იქნებით!..—გვანუგეშებდა უწმაწური სიტყვების წამატებით „ბოჩოლა“ მგზავრებს.

ამ სივიწროვეს კიდევ რამენაირად აიტანდა კაცი, მაგრამ მანქანამ ალვანის გზიდან გადაუხვია და სადგურისაკენ გასწია. სადგურთან რომ შეჩერდა, სადღაც სკამის ქვეშ იდან „ბოჩოლა“ გამოძვრა და რიხიანად გავვიცხადა:

— მანქანა ერთი საათით მატარებელს მოუცდის, დრო გაატარეთ!

ერთი საათის შემდეგ ოცდაექვს კაცს კიდევ თხუთმეტამდე დამატა და გავწიეთ ალვანისაკენ.

ალვანის ხილზე მკლავზე წითელ ლენტოხვეული კაცი გამოტყვრა და პატარა დროშა მანქანის წინ ხმალივით დაატრიალა.

— ნიკალა! — თვალის ოდნავი მოკუტევით შემოსძახა ავტომძღოლს.—ეს სამი კაცი ჩემია, ალვანამდე უნდა აიყვანო! — და კიდევ სამი უბილეთო მგზავრი მოემატა ჩვენს ავტობუსს. მოვედით სოფელ ფშაველში.

— ძია სანდრო, აბა, ჰა! — ღიმილით ეუბნება ნიკალა იქვე მომლოდინე ქოსა კაცს და ძია სანდროც თავის ხალხს უშმატებს ავტობუსს.

როგორც იქნა, ჩავალწიეთ ზემო ალვანამდე. მესამე დღით ყველაზე ადრე მივედი ავტობუსის გაჩერებასთან. გამიხარდა, რომ პირველი ვიყავი. მაგრამ აი, ჩამოვდა მანქანა და ძია სანდრომ (ნიკალას პირველმა ავტომა ზემო ალვანში) მოგროვილ მგზავრებს გამოუცხადა:

— ბილეთები გაყიდულია, პავლიკას პოხედას გაჰყეთ! პავლიკას არ იცნობთ, პავლიკა ხომასურბიძეს, თელაველ ავტომძღოლს?

ცხრამეტადგილიან ავტობუსში ახლა მხოლოდ ორი ბილეთი აღმოჩნდა.


— თქვენი ადგილი აქ არის! — მიმითითა სკამის ნანგრევებზე „ბოჩოლა“ და მეც დავემორჩილე. დაიძრა მანქანა და ყოველი სახლის წინ ჩერდებოდა. ვინ კითხულობს მგზავრთა რაოდენობას და მანქანის ტევადობას. გულმოდგინედ ალაგებენ ჩვენი ნაცნობი „ბოჩოლა“ და ძია სანდრო ჩემ კისერზე ყველიან გულებს, მატყლიან ტომრებს, ღვინიან ტიკებს...

მანქანა ინჯღრევა, ვგრძნობ როგორ წვეთავს ჩემს ზურგზე მარილწყალი ყველის გუდიდან... აი, ერთი შენჯღრევაც ამ დანგრეულ გზაზე და... სკამის ნატეხიდან თავამოყოფილი ლურსმნები ყოველ შენჯღრევაზე უწყალოდ მჩხვლეტენ.

როცა მანქანიდან ჩამოვითანეს, შარვალზე მილურსმული ორი ფიცარი ჩამომკვა, როშელსაც „№ 2“ ეწერა ზედ. ძია სანდრო იქვე მგზავრობის ფულს ართმევს ხალხს და კმაყოფილი იღიმება. იღიმება ნიკალაც და „ბოჩოლაც“. იღიმებიან თელავის ავტოტრანსის მესვეურები.

მაგრამ ამ ღიმილისაგან მგზავრებს როდი ეცინებათ...

ნ. გომიგოური



ერთმა ძველად განცდილი წუთი იგარაუდა:
— ორთაქალის დახატვას ფუნჯის მეტი რა უნდა?!

მეორემ კი, უბრალოდ, ის, რაც ნახა, დახატა
და პირველი სურათი წახაშლელი გახადა...

შამპანურის კერძები

სტალინირში საქმეები რომ დაეამთავრე, ქსუისის მტს-ს ვესტუმრე. ჩემი ძველი მეტოქე და მეგობარი, პირველი სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ალექსი ბერუაშვილი მოვინახულე. ჩვენ, აგერ, მესამე წელია ერთმანეთი სოც-შეჯიბრებაში გვყავს გამოწვეული.

ალექსიმ მტს-ი დამატარა. ცოტათი შემშურდა კიდევ მათი. ჩვენს მტს-თან შედარებით წინ წასულიყვნენ.

სადილობის დრო რომ მოახლოვდა, ალექსი თავიანთ სასადილოსკენ გამიძღვა. ამან ხომ სულ მომილო ბოლო, მტს-ში საკუთარი სასადილო გაეხსნათ!.. ბევრი გერ დაიტრაბახებს ამ ფუფუნებით.

მართალია, სასადილო ერთ პატარა ოთახში იყო მოთავსებული და ჩამოწოლის პირად მისულ სახურავს ნაუცბათე-

ვად შეყენებული სამი ბოძი აკავებდა, მაგრამ ის მაინც სასადილო იყო, ნამდვილი სასადილო. ზედ, თითქოსდა ჩემს გამოსაჯავრებლად, აბრაც კი დაეკიდათ.

ალექსი, როგორც მასპინძელი, პირველი მივიდა დახლთან და მებუფეტეს შეეკითხა:

— რა გაქვთ სადილად?

— სა-დი-ლად?..—დამარცვლა მებუფეტემ,—შამპანური, კონიაკი, არაყი და ცხრა ნომერი ღვინო.

— მე გეკითხები სადილად რა გაქვს-მეთქი?—გაუმეორა კითხვა ალექსიმ.

— მეტი არაფერი გვაქვს, — კვლავ აუღლევებლად უპასუხა მებუფეტემ, — რას ინებებთ, კონიაკს თუ შამპანურს?

— საკმელი მინდა, ადამიანო, საკმელი!..

— საკმელი?.. ჰოო, ახლა გამახსენდა, გვაქვს სამი დღის შავი პური, ცოტათი გამხმარია, მაგრამ არა უშავს-რა..

შევატყვე, ალექსი სიბრაზისაგან თავს ძლიერს იკავებდა. ჩემი შერცხვა, თორემ აყვირდებოდა.

— რა უცხო კაცივით იქცევი, — დამზვიდვით განაგრძო მებუფეტემ, — გასული წლის ჩვიდმეტ დეკემბრიდან, რაც ეს სასადილო გაეხსენით, ერთი დღეც არ მახსოვს ცხელი ან ცივი კერძი გვქონოდა... არ გვამარაგებენ და მე ხომ ზეციდან ვერ გავაჩენ...

არა, ტყუილად შემშურდა ქსუისის მტს-ის სასადილოს ბედი!..

გ. ბაბლიძე

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниванги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 3/III 1954 წ. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 468 გამოც. № 5 ტიო. 15.000 შუ 02460.



ნაბ. გ. ლომიძე

თურქეთის ბაზარზე

გაზეთების ცნობით, ამას წინათ, ერთმა ღარიბმა გლეხმა თურქეთში თავისი ქალიშვილი 400 ლირად გაყიდა. სტამბოლში თავისუფლად ჰყიდიან და ყიდულობენ მოცეკვავე ქალებს.

— ე. მაგ შენს გოგონს რა ატირებს, ვერ გამოიგია, კულტურულ ხალხს მიყვები, — მხეცებს ზომ არ გადავუგდებ შეხაკმელად?!